

გაზეთის ფასი:

გაზეთით თულისში და გარეშე ადგილებში:
 მართის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
 ნახევრის წლისა — 4 — — — 3 — 50 კ.
 სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
 ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საქართველო მიიღება:

თულისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ბაღაიანის პროსპექტზე, რეიტერის სახლში.
 თულისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. შსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივს ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: მმართველობის ტელეგრაფი. მმართველობის განკარგულება: — შალესი ბრძანება ძავეასის სახელობა. მკარგში. ამბავი შოთიღვან. „დროების“ კორექსორდენცია: — ძასპი. პოლიტიკა: — პრუსია: — იტალია. — მსმალეთი. — ამერიკა. — ტელეგრაფები. — სალიტერატურა ნაწილი: ტე-თ — მოქმედება, სამოთ სმილისის თხზულებიღვან. — სახანინო და კერძობითი განცხადება.

მმართველობის ტელეგრაფი.
პეტერბურში, 26 მაისს. ლეთის განგებამ დაიფარა ხელმწიფე იმპერატორი. 25 მაისს ნაშუადღის 5 საათზედ, როდესაც ჯარები ნახეს და ბულონის ბალით უკან დაბრუნდნენ, ვინამაც ესროლა დამბა იმ ეკიპაჟს, სადაც ისხდნენ ორივე იმპერატორები და დიდნი მთავარნი მემკვიდრე ცესარევიჩი და შლადიმერ პლექსანდრეს ძე. დამბა გამოვარდა იმ მხრით, საითაც ნაპოლონი იჯდა, არაეინ დაუტრია, მაგრამ ტყვია შტალმისტერის ცხენს მოხვდა; ის მისდევდა ეკიპაჟს. დამნაშავე შეიქმნა ერთი ყმაწვილი კაცი; ხალხმა იმას მაშინვე ხელი სტაცა და თითქმის დაგლიჯა; გამოძიება წარმოებს. — ბერძნების კაროლი 23 მაისს ბენსილგერდგან გამოვიდა, 26 ან 27 ის ზღვით რიგას უნდა მოვიდეს. — პრუსიის კაროლი პარიჟს მივიდა.

მმართველობის განკარგულება.
 შალესი ბრძანება ძავეასის სამხედრო ოკრუგში.
 14 აპრილს, პეტერბურგში. მართლის ქვეითის დრუჟინის ურადნიკს თ. პეტონ ტუმანიშვილს მიეცემა მილიციის პრაპორშჩიკობა. მისი იმპერატორების უმაღლესობის, დიდი მთავრის ნიკოლოს ძოსტანტინეს ძის 84 შირვანის ქვეითი პოლკის შტაბს-კაპიტანს შალანთაროვს მიეცემა კაპიტნობა. ძავეასის არმიის მთავარ-მართველის თანაშემწის ადუტანტი თ. ნაკაშიძე, რომელიც მდგომარეობს არმიის კავალერიაში, გადაყვანება საცხენოსნო-გარენადერის პოლკში შტაბს-კაპიტანად; ის აგრეთვე დანიშნულია რომ ძავეასის არმიასთან მდგომარეობს.

— შოთიღვან სწორენ გაზეთს „ძავეას“: წარსულს დეკემბერში იმ ადგილს, სადაც პორტი შენდება, გამოჩნდნენ წყლიღვან ამოვარდნილი ხის მარგილები (сваи), რომელიც ზღვის ქიებისაგან იყენენ დახრულნი. ინვარში ქიებმა მეტად ბევრი მარგილები წაახდინეს, ასე რომ მაშინვე ექვეში ჩაეარდნენ შესახებ იმისა, შეიძლება შოთში ხის პორტის აშენება, თუ არა? ახლაკი გადაწყვიტეს, რომ არ შეიძლება, და კიდევ მოხდა განკარგულება, რომ ძოაშადონ ზოგიერთი მასალა ქვის პორტის ასაშენებლათ. ამ მიზეზებისა გამო შეიკვალა ის განკარგულება, რომელიც თავდაპირველად მოახდინეს ხის პორტის აშენებაზედ.

„დროების“ კორექსორდენცია.
 ძასპი.
 მართს დროს ქალაქად მყოფი ძასპი ესტაპატარა სოფლად-და არის დროსგან ნაქცევი.

თუ კაცი ძალიან დააქცერდა, იქნება ნასახლარებზედ კიდევ შეატყოს, რომ იქ ქალაქი როდისმე ყოფილა. საუცხოვო ადგილი არის ძასპი, ბუნებას შეუმკვია ის კარგი მდებარეობით, ჰაით, წყლით, აგრეთვე მოსაგლით. წარსულს წელს მთავრობის განკარგულებით გასტრეს იქ მიწა რკინის გზისთვის. მართი სტანცია, როგორც ხმა იმისი, იქაც გაკეთდება. მკ, ნეტა ეს ჩქარა გამართლდეს! ჩვენნი ძასპი ისევ ქალაქად ვადიქცევა. იმისი კარგი მდებარეობა განათლებულს ხალხს უეჭველად მიიზიდავს. პესწერ აქ მოკლეთ ძასპსა.


სოფელი ძასპი მდებარებს ბორის მხარაში, სადაც პატარა მდინარე ლეხურა ერთვას მტკვარს, ცოტა იმის ზემოთ. მაშინდელი არის მალლობ ადგილზედ. წინ დაბლა (ალმოსავლეთით) ჩამოუდის ლეხურა; გარს სასიამოვნოდ შემორტყმული აქვს ვენახები; იქ ორი სასახლე დგას ამილახერიშვილებისა, ხუთიოდე ქეით-კირის სახლებიც არის ახნაური-შვილებისა და შეძლებულს გლენ-კაცებისა; არის აგრეთვე ძველი ციხეები და გაღვანა; ეკლესიაც შიგ ვალავანშია ძველი, ქეით ნაშენი, მკიდრი. სხვა მცხოვრებლების სახლები კი სულ მიწისანი არიან. სახლის ბანები დედამიწასთან არიან გასწორებულები; ყველა სახლებს დერეფნები აქვთ წინ წამომდგარი; დერეფნის ახლოს ბაქები (ეზო) აქვთ წნელით შემოწნული ზაფხულში საქონლის სადგომად; შიგ შუა სოფელში სახლებთან არეული არის კალო-საბძლები. — ამ სოფლის გარეშემო ადგილებს შეადგენენ მთები, ტურფა ველები, სადაც არიან ვენახები, ქალები, საძოვარი მინდვრები. ძასპში მოდის კარგი ყურძენი და ღვინო, მთელს მართლში ნაქები; აგრეთვე მოდის კარგი პური, ქერი, სიმინდი, სხვა და სხვა სამარბო და ბადეული. თუმცა ესენი ყოველ-წლივ ბლომათ მოსდით კასპელებს, მაგრამ რადგანაც თულისი შორს არის და ბორიც ახლო არ არის, ვერ ეყენებენ, როგორც რიგი არის. ისევ თვითონვე სჭამენ თავიანთ მოსავალს, ძირს აღარა რჩებათ რა მომავალი-სთვის. — ძასპის მცხოვრებლები არიან ქართველები და სომხები, რიცხვით ოთხმოც და ათ კომლადე. სომხები მარტო ცარიელის სახელით განიჩივიან ქართველებისაგან. იმათ არ იციან არულებით სომხური ენა, ყველა ქცევა და ჩვეულება ქართული აქვთ. მაგრამ ეპკლესია აქვთ და ხუცესიც ჰყავთ. ძასპში არც ქარხანა რამ არის, არც შესანიშნავი ხელოსნობა. იქ ისევ ის მამაპაპური ძველი დრო არის. ძასპელები ხმარობენ ისევ იმ დევე-გმირულს ურემს და გუთანს; ვენახს მუშაობა, ხენა—თესვა, ლეწვა სულ ძველი, ისევ ის, რაც მართლოსის დროს ყოფილა. (*) ძველდროს დაშორებნიან ისინი მხოლოდ ამითი, რომ გა-

(*) მე აქ იმას არ ვამბობ, ვითომც სხვა სოფლებში ახლად მოგონილი ურემები, ან ახალ-გვარი მუშაობა იყოს. არა, ყველა ქართველების სოფლები ასე არიან. იმედი მაქვს, რომ ძასპი სხვა სოფლებზედ თუ არ მეტი სიკეთით. ნაკლები კი არ იყოს არას დროს. ძასპის წყარო იმისთვის, რომ ყველა განათლებულს კაცს გაუკვირდება ჩვენი ქართველების საქმე, როდესაც ვაშინჯავს. რა გვემართება, არ ვიცი. ნაყოფიერი ადგილი რომ ჩვენთვის ხედვას მოუტია! მიქენმა მზემ, დაბრახინდნო, რა უნდა სულს და გულს რომ ძასპის მიწამ არ

რეთ მტრის შიში აღარა აქვთ, თოფები ორმოცი და სამოცი წლის დაქანებულნი და შემკვარტლული უყიდათ. უწინდელი მოკეთეობა, ლეთის სიყვარული და სიმართლე აღარ არის; მტერზედ მძლავრობა და გამარჯვება თავიანთს მევზობლებზედ ვადუღიანთ. რომ ისინი ჩვენს დროში სცხოვრებენ, ამაზედ შეატყობთ: ძასპის—თავადიშვილები სულ ფაეტონებით დადიან; იმათ ქცევა, ჩაცმა, დახურვა, სახლის მომართულობა და ცხოვრება სულ ქალაქური აქვთ. ზოგი ერთი გლენი-კაცის ქალები ისეთს მოდის კაბებს იცვენ, რომ მრეკლეს დროს მომკვლარი კაცი რომ საფლავიღვან წამოსდგეს და ისინი დაინახოს, დედოფლები ეგონება. — შესანიშნავი ეს არის, რომ როგორც სხვაგან, ისრე ძასპშიაც ხალხი ახლანდელს თავისს სიღარიბეს ტანთ-საცმელის მომატებას ახრალებს. — ზოგ გლენკაცებთაგანს წადები აცვიანთ. საკვირველი არის, რომ რაც გლენი-კაცები განთავისუფლდნენ მებატონებისაგან, ძრიელ შეეტყოთ ცხოვრებაში წინ წასვლა. სხვა განათლება ძასპში არა არის რა. ხალხის უმეტრება იქ ჯერ ისევ ღრმად აწევს კისერზედ უმეტესს ნაწილსა. მე იქ ერთს კამპანიაში ვამტიკებდი, რომ მკითხაობა ტყუილი არის მეთქი. მკითხავები ხალხს ატყუილებენ. იქნება იმათ ათასს სიტყვაში ერთი მართალი მოუვიდეთ და ხალხი იმითი სტლება მეთქი. მაგრამ საუბედუროთ ვერავინ დაეჯერე, მაშინ როდესაც ის საზოგადოება უფრო მაღალ ხარისხზედ იდგა და სხვებზედ მეტი ცნობა ჰქონდა. მართამ ამ კამპანიის პირმა ამ გვართად დამიტიკცა მკითხავების სიმართლე: „სენი დეკარგე, ბევრი ვეძებე და ვერსად ვიპოვე. მკითხავთან მიველ საკითხე-სხნა, იმას დააქცერდა და მითხრა: აი იქით-კენ, მტკვრის პირზედ, ამა და ამ ხეში დგას და სძოვს შენი ცხენი. — ვაველ, ენახე და მართლა იქა სძოვდა. მეორემ კინალამ ჩხუბი მიყო. ძილიან სტებოა, ვინც მკითხავებს ამტყუნებსო. შეილი მიკედებოდა. ლეთის ვედრებამ და წამლებმა ვერა უშველესოა. მკითხავთან მიველ და ვაკითხინე თუ არა, იმავე საათს მორჩაო, ხატის მიწეში ყოფილიყო. ახლა ასე მგონია, ეს შეილი მკითხავმა მაჩუქაო. აქამდის მე თვითონ არ ვიჯერებდი, მაგრამ ახლა ქვეყანაც რომ მომადგეს, იმის სიმტყუნეს ვერ ვიტყვიო.“ — მრი წელიწადი იქნება მას აქვთ, რაც იქ ერთმა კასპელმა მოკლა ხანჯლით თავისი მევზობელი უბრალო საქმეზედ. მრი მევზობელი ცდილობდა, რომ ერთს მეორე დაეჩაგრათ. ძნელი ეს იყო, რომ ორივეს ერთნაირი ძალა ჰქონდათ. რამდენი ძმებიც ერთნი იყენენ, იმდენიც მეორეებიც. მართნიც შეძლებულნი იყენენ და მეორეებიც. მართმა იმათაგანმა ურემი წილო ტყეში და ამ თავისი მევზობლის სარი წამოიღო. ამ დროს პატრონი შეხვდა იმას გზაში. წინათვე გაეგოთ, რომ ჩვენი სარის წამოღებას აპირებნო. დედას ეთქვა იმითთვის: „თვლით არ დამენახათ, თუ თქვენც ხლა იმათ ვაჯობესო.“ მოუვიდათ ჩხუბი; უმც-

როსი ძმები შეეკიდნენ ერთმანეთს და ვისაც სარი მოჰქონდა, იმან წაქცია სარის პატრონი. წაქცეულს ეს ეწეინა, ამოიღო ქვეშედამ ხანჯალი და დაჭრა მუცელში. ის მაშინვე მოკვდა და ეს გაიქცა, დღესაც დაკარგულია. — ძასპში გლენ-კაცებთაგანმა იქნება ორმა იცოდეს წერა და კითხვა ქართულად და რომ იცოდეთ, ისინი რანაირად იკვებიან თავისს ცოდნას. მართმა ამთაგანმა რაღაც აზრის დასამტიკცებელად სთქვა: „ერთი სიბრძნის წიგნი სწერიაო, ნუ ჩაყოფ ხელს ფისში, თორემ გაიშავებებო“ მე მითხრა, შენ ვამამტყუნე, თუ არა სწერიაო. მე ვუპასუხე: სიბრძნის წიგნი კი არა სწერია და ქემმარტიკი არის ეგ, რასაც ამბობ მეთქი. იმან ეს ძრიელ იწეინა და მითხრა: „როცა წიგნს მოგიტან და გაჩვენებ, მაშინ შეიტყობთ, რომ სწერიაო.“

აი კასპელები დღესასწაულებში როგორ ღვინობენ და ან რა ნაირი ჩვეულება აქვთ იმათ.
 დიდ მარხვის პირველს დღეს, მკინობას, ძასპში ოთხგან შექურდა ხალხი, ძვემოთ უბანში ორი ყვინი დაჯდა: ერთი ქალებისა და მეორე კაცებისა. შეენები იყენენ შალით თავშემობვეულნი, ქულებში ფრთები ჰქონდათ გაკეთებული. იმათ დროშებს შეადგენდა მაღალი სარები ზიდ წითელ ხელკახოც მომბული. ზემოთ უბანშიაც ესრევე იყო. სადილობამდის არაყს და ღვინოს სვამდენ, ხალხს იბატიჟებდენ; აგრეთვე გზავნიდნენ იასაულებს ყოველ მეკომურებთან და ართმევდნენ ხარჯს-ზოგს პურს, ზოგს ღვინოს ან არაყს, შექამანდს და სხვას; ამასთანვე ყვენები დასცინოდნენ ერთმანეთს და უთვლიდნენ მუქარას. ზემოთ უბნის ყვენს დაეჭრა ერთი ქვემო-უბნის ყვენის კაცი და იმ კაცისთვის ჯერ მუერი წავსოთ, შემდეგ ეპოვნათ საღდაც სანახევზედ მკედარი გოჭი, გამოვბათ ის ფეხზედ და ისე გაეგზავნათ თავისს ბატონთან-ყვენთან. მს რომ ქვემო—უბნის ყვენს ენახა, ფიცხლავ გაეგზავნა იასაულები და საღდაც ყოფილიყო დაეჭირებინა ზემოთ უბნის ყვენის კაცი. იმათაც იმ კაცისთვის ჯერ მუერი წავსოთ, ფეხზედაც ისევ ის მკედარი გოჭი გამოვბათ, შემდეგ მკედარი კატა ეპოვნათ—თუ—არ ვიცი, მოგვლათ. საღ იყენენ მაშინ ძველი ვეგებტლები! ისიც გულზედ ჩამოვიდათ და ისე გაეგზავნათ თავისს დიდს ყვენთან. სადილობის დროს ორივე კაცის ყვენები შეიყარნენ ერთად და გამართეს ერთს ველზედ კარგი ჭიდაობა. ძალის ყვენებიც ამავე წესით იქცოდნენ. სადილობის დროს ორივე ქალის ყვენები თავისს ამალით მოვიდნენ წყალზედ. ისე კაბებიანები შევიდნენ ორნივე შუა წყალში. მან შეტყვათ იმათ ერთი მოხუცებული ქერივი დედაკაცი. იმან დაუხსნა ყვენებს წყალში ღვინო, პური შექამა, დაალოცვინა და მერმე დაიქიდნენ ყვენები, იმდენი აგორავეს წყალში ერთმანეთი, რომ კინალამ ორნივე დაიხრჩენენ, რომ გენახათ სცილით თავს ვეღარ დაიჭერდით. ხროვა და ხროვა მორბოდნენ ჭიდაობით წყლისკენ დედაკაცი, ქერივები, პატარძლები, გასათხოვრები, ზოგნი ხმარადიანები და წყალში ასევე ღვინდნენ ერთმანეთს. ზოგი ტიროდა, იგინებოდა, ზოგი იცინოდა, სულ წყალი შეა-



გუბეს მერმე იმ სიცივეში, ისიც თებერვალში. მე ვკითხე ერთს კასპელს დედაკაცს: კაცები კიდევ ჰო, და დედაკაცებს რაღა ეყენებათ მეთქი ამ სიცივეში. იმან მიპასუხა: „როცა დედაკაცები ყვენს დასმენო, კარგი დრო მოგვდისო, პური და ღვინო ზღობათ მოდიხო; არც სატყვიარი გაჩნდება ხოლმეო“. მე უთხარ: რომ გაცივდნენ, ხომ ავით დახედებან? იმან მომიგო: „ჩემს ქალს ახლაც აცივებს, შარშან ყვენობას გაცივდაო. მე რათ გინდათ, შარშან ამ მიზეზით ერთი ისეთი ვაჭიკაცი მოკვდაო, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა, ყვენათ იჯდა საწყალიო; მაგრამ სოფლის წესს და ჩვეულებას ვინ მოშლისო.“ — ძაცების ყვენებამაც იქიდავეს წყალში, და ერთი კაცი აღარ გადურჩათ; რომ არ დასველეს. არც ახნაურს დაგიდევდნენ, და არც სხვას ვისმეს, თანაბრად აღბობდნენ ყველას წყალში. ისინი დაჯერებულები არიან, რომ რამდენიც ბევრი დასველდება, იმდენი უფრო კარგი წელიწადი მოუვათ. მეც მეშინოდა, ხელს წამავლებენ და დამსველებენ მეთქი. ან რა ძალა მქონდა, რომ არ დემოკრიფებულყავი, თუკი იმათ ამითი კარგი და ბევრი მოსავალი მოუვიდოდათ. ცოტა მთვრალეებიც იყვნენ! მაგრამ ღმერთმა დაუშადალო, ინამუსეს, ხელი არ მახლეს. მართი კაცი იგინებოდა: „რა მოსავალი უნდა მოვიდესო, ან რა წელიწადი იქნებაო, ყვენებს ჭიდაობა არ გაათავებინეს, თვითონაც მაშინვე აირივნენ ეს რეგენები წყალშიო. მართი ბევრი არა გავგებათ რაო“.

ღიდ მარხვის პირველს — შაბათს — თევდობობა დღეს, კასპელს კარგი დღეობა ჰქონდათ. იმათი ეკლესია წმინდა თეოდორე ტირონის სახელზედ არის აშენებული. პარასკევს საღამოზედ 5 მარტსა, თუმცა ძრიელ ციოდა, ტალახი იყო და თოვლი მოდიოდა, მაგრამ კასპელებმა მაინც მოითხოვეს კამბეჩებით და ხარებით დიდრონი ძელები, მკალესის კარზედ გაღიანში დაანთეს სახმილავის მგზავსი დიდი ცეცხლი და შემოხვედნენ გარეშემო. ის ცეცხლი მოასწავებს იმ სახმილავს, რომელშიაც წმინდა მოწამე თეოდორე ტირონისა აღსარებისთვის სარწმუნოებისა შთადებულ იქნა ურწმუნოთაგან. ხალხი ეკლესიის კარებზედ გაღიანში უფრო და უფრო მოგროვდა. ძლიერ დაბნელდა და თოვლმაც მოუმატა: ციოდა, მაგრამ სიცივეს არავინ შეუშინდა. მამართეს ფერხული, სიმღერა, რომ იქაურობას ანგრევდნენ. მგრეთვე გამართეს ჭიდაობა ცეცხლის სინათლებზედ; მოვიდნენ ქალებიც ერთს წამს, ილხინეს, იმღერეს, მაგრამ შესცივდათ და ისევ თავთაის სახლებში გაიქცნენ. მე და ჩემი ტოლები მაშინ ეკლესიის გვერდზედ ვიდექით, ლაპარაკით შევეტყვევდით და სიმღერასაც ვისმენდით. იქ ჩვენს ახლოს შევიწინეთ ერთი კაცი, რომელსაც გარს საღიანები ღვინით სავე შემორტყმული ჰქონდა, რალსაც ლაპარაკობდა და თან ღვინოსაც სვამდა. ის კაცი თურმე მნათე ყოფილიყო და ზედაშემების პატრონს აწყლობებდა, ხატს ახვეწებდა. მაგრამ საკვირველი კი იყო იმისი ლოცვა, არ ვიცი სიმთვრალით, თუ რაღაც, ზოგს ავიწინებდა, ზოგს ლოცვა და თითონაც არ იცოდა, რას ამბობდა. ჩვენც მოგვაწოდეს ღვინო და დაგვლოცვინეს; მაგრამ რატომ ატამებს არა სცდითო გვიწყინეს. იქ კარგა ხანი ვიდექით და ვისმენდით სიმღერას, მაგრამ სწორეთ უნდა სთქვას კაცმა ძლიერ კარგა მღეროდნენ. ღმერთო, რათ მიყვარს ასე ძლიერ ქართული სიმღერა! სიტყვებმა მაშინ იმათგან სიმღერაში თქმულმა სულ ტანში დამალბეს, ცახცახი დამაწყებინეს:

ჩვენი პატარა, მრეკლე, კახთა ბატონის შვილიო,
 შვიბარებს, ბიჭო, წაიდეო, ვის გვიდგას პირში სულიო.

აქრილან არაგვიანნი, ანანურს ქვეით კაციო.

 რაღაც აღტაცებაში მოგვიყვანა ჩვენ ამ სიმღერამ და შევასხით ქართველებს უთვალავი ქება. მე ვსთქვი: ძველად ყველა ძლიერის და განათლებულის ხალხის ხელში ქართველებმა გამოიარეს. ალექსანდრე დიდის დროს ჩვენი ქვეყანა დაიპირეს მაკედონელებმა. მართელებმა რაც იმათში კარგი ზნე და ჩვეულება ნახეს, გადმოიღეს. ასევე მოიქცნენ სპარსელების, რომაელების, არაბების, მონგოლების და სხვების ხელში. სხვა სთქვა: „მსცდებით ქართველებო, რომ ჩვენსას ყველაფერს თავს ვანებებთ, ჩვენი სრულებით აღარა მოგვწონს რაო. ღარბისელი ქართველები რომ პურის ქამაზედ დასხდებიან და ისინი რომ მაშინ ერთმანეთს თავებობენ, შეაქცევნ და თან სიმღერას დასძახიან, იმისი უკეთესი ლხინი და სიამოვნება აღარ იქნებაო. მესამემ იჩივლა: „ბევრ აქამდინ ქალაქში ვიყავ და ყოველ-დღე სულიეს ცირკში დავდიოდიო. ათი თუმანი მეტი გავაფუტეო და ნეტაი რასაც აქ სიამოვნებას ვხედავ, იქ ამისი მესხეთური მენახაო. ქალაქში ამ ცოტას ხანში ვიღაც გოლიათი კაცი მოვიდა და ჩვენი ქალაქელები ხუთსა და ექვს შაურს აძლევდნენ იმას, ერთი დაგვენახეო. სწორეთ რომ ესთქვათ, ის ისრე ძრიელ დიდიც არ იყო. მე ჩვენს ქართველებში ბევრი მიხანხეს იმაზედ მაღალიო; მაგრამ ერთი რომ შევიდოდა, ნახავდა ჯავრი მოუვიდოდაო, ფულები რათ დავკარგეო; გამოვიდოდა და გავაგრებული იტყოდა ხალხში ძრიელ საკვირველი რომ არისო. ამაზედ სხვებიც ტყუულებოდნენ და მიდიოდა მოუწყვეტლად ხალხი. მართს დღეს სულიეს ცირკიდან გამოვიდა გამოცხადება, ამაღამ ამ გოლიათის და ერთი სხვა ჰერკულესის ჭიდაობა იქნებაო, ჰერკულესმა გოლიათი გამოითხოვაო და თუ ვერ წააქცია, რამდენიმე თუმანი უნდა მისცეს იმან გოლიათსაო. ამ ცირკში ვინ არ წავიდოდა. გოლიათის ხმა გამოდიოდა ძრიელ ღონიერი არისო. ყველა განარბებულები წავედით ამ ცირკში. ხალხით სულ გაიჭედა ცირკი; მოუთმენლად მოველოდით იმათ ჭიდაობას. ბოლოს გვედირსა და გამოვიდნენო ფალავანდები. იმათ ერთმანეთს ხელები დაუჭირეს, განხუმრნენ და თავის თავად წაწვა გოლიათი. ძრიელ გვეჯავრა, მაგრამ არ ვიტყოდითო. აბა ახლა ზეად ჩვენი კასპელების ჭიდაობა ვნახოთ, თუ იმისი უკეთესი სანახავი რამ იყო სო“. მეოთხემ სთქვა: „მს რაღა ჩვენი უბედურება არისო, რომ როდესაც ქართველი ითაკილებს რასმე უროგოს გასწევსო, განა-თუ ითაკილებს, იმას ის კიდევ ეკვებება. მჭეი აღარ უნდა, ბევრი რამ ესთქვით მაშინ ქართველების სასარგებლოდ.“ იქნება ეს ღვინომაც გვიყო. მეორე დღეს გათენდა ღამაში დილა. სამ მოიწმინდა; თბილი მზე გამოვდა; ხალხი უცხო ქვეყნისა და იქაური მოგროვდა ეკლესიის კარზედ. მოვიდა მაშინ შაშვის გუნდიც შევით, დაედა გაღიანს და ათას-ნაირათ დაუშტინეს და იგალობეს. ხალხიც ამაზედ უფრო გამხიარულდა. მოვისმინეთ წარვა: შევახვეწეთ ყველამ თავი წმინდა მოწამე თეოდორე ტირონისას; ვითხოვეთ სიმრთელე, გამარჯვება. წირვის შემდგომ გაიმართა კარგი ჭიდაობა. მაგრამ უკეთესი სანახავი აღარ იქნებოდა, რომ ის იყო. ისე ღამაზედ ჭიდაობდნენ, რომ მნახველი აღტაცებაში მოდიოდა. მაქკაცად, ღონით, ფერით უკეთესი აღარ იქნება, რომ კასპელები არიან: ღამაზ ჩოხებით, ჩუსტ-საცვეთით, ქალამებით, სარტყლებით მოკაზმულნი. იმათის ქებით ვერ გაძლებოდა კაცი, რომ შესაფერი განათლებაც ჰქონდეთ. შემდგომ მოიმზადეს სადილი, სულ უროებით მოაგროვეს ხატის ღვინო. იმ ეკლესიას აქვს ვენახები კასპელებისაგან შეწირული და ვინც იმ ვენახებს დაიჭერს, დღეობაში ხალხს რამ-

დენიმე კოკა ღვინო უნდა მისცეს. დასხდნენ მწკრივებდ იმ ძველის გაღიანის ძირზედ, რომელსაც, ვინ იცის, რამდენ-ნაირი დრო უნახავს, დიპატივეს უცხო სოფლების ხალხი, ვინც რომ იქ იყვნენ; გამართეს ღვინის სმა და საღამომდისინ სეეს. ჯერ ძრიელ ჭკვიანათ იყვნენ. მართი რუსი იყო იქ და სულ ყვიროდა, ამდენი ღვინო რომ ჩვენმა ხალხმა დალიოს, ერთი ველარ გადურჩებოდა. შუა ღვინის სმაში რომ შევიდნენ ერთი ახალგაზდა წამოვდა სუფრიდან, მეორე ახალ-გაზდაც თან აჰყვა იმას საღიანით და ჯამით. საღიანთანა გაუმსო ჯამი ღვინით და მისცა დალიეო. იმან უარი უთხრა, აღო მაშინ საღიანე და შიგ თივში დაარტყა, ემენდე თუ არ გინდაო. მოუვიდათ ამაზედ საშინელი ჩხუბი. მიქომაგნენ ერთმანეთს გვარია კაცი, თავ-თავისი მკობრები, ნათლები, ნაცნობები და ერთს წამს სულ მუშტით ცემა იყო. შემდგომ დამშვიდდნენ, ისევ დასხდნენ და ბინდობამდისინ სეეს. პიდეე იმღერეს, იქიდავეს და წაივინენ თავ თავის სახლებში. — კასპელებს რომ ღვინო ფასად ვსყიდებოდეთ, ვგონებ, რომ იმდენს აღარ დალევდნენ, ისე უბრალოდ არ გააფუტებდნენ. მაგრამ რა უყონ, თუ ისევ თვითონვე არ დალიეს. იმ ფასს, რაც ღვინო ღირს, არავინ აძლევს. შრომა და ჯაფა ღვინის მოყვანაზედ კი ბევრი აქვსთ.

1867 წელსა, 1 მაისს. წლევის — ძირელი.

პოლიტიკა.

პრუსიის. ლუქსემბურგიდან Temps-ში იწერებინან, რომ აქ 20 მაისს ბერლინიდან მოვიდა პრუსიის შტაბის აფიცერი, თან მოიტანა სამხედრო მინისტრის ინსტრუქციები, ლუქსემბურგის ციხის დაკლის შესახებ. ამბობენ, რომ გარნიზონის უმეტესსი ნაწილი გამოვა ციხიდან ამ მოკლე დროში.

გველფუგის პარტიის ანტიპათია ვანო-მარში. ღამბურგის გაზეთში Boersenhalle 12 მაისს ბერლინიდან იწერებინან, რომ მანროვერში მოხდა გამოძიება გველფუგის პარტიის აგიტაციის გამო და ბევრი შესანიშნავი პიტატაციის ბუდე არის ბიცინგი. ნაციონალურს გაზეთში 20 მაისს, მანოვერიდან იწერებინან: მანოვერში ამ დღეებში აღმოაჩინეს შეთქმულობა, რომელშიაც ურევიან ბევრი ახნაურთაგანი, რომლებიც აპირებდნენ, რომ თუ იმ მოუხდათ პრუსიასა და შრანციას, ისინი ამ უკანასკნელებს მიემხრებინან, შეადგენენ მანოვერის ლეგიონს და შეესევიან მანოვერის საკაროლოს. შემთქმელებმა გაგზავნეს თავისი ემისსარები ლონდონში და მანოვერში, რომ იმათ მოკრიბონ იქ ელონტერები ლეგიონისთვის. ბევრი ამ ემისსარებთაგანი მანოვერში შეიპყრეს, როდესაც ისინი შეუდგნენ თავის ვალდებულების ასრულებას. ბარონი ბოლლე, რომელიც მხნედ შეუდგა ლეგიონის შეკრებას, შეიპყრეს, მაგრამ ის ციხიდან გაიქცა. ამისგამო, საპრობოლეს მოსამსახურე დაიპირეს და გამოძიება დანიშნეს იმ ვარემოების სახსენლად, თუ როგორ და რა გზით გაიქცა ბარონი ბოლლე საპრობოლიდგან.

იტალია. იტალიის გაზეთებში სწერენ დადებულს სჯულზე სასულიერო ქონების შესახებ.

სჯულის 1 მუხლში გამოცხადებულა: ყველა უძრავი და მოძრავი ქონება სასულიერო წოდებისა ერთათ უნდა შეკრებეს. 2 მუხლი დააწესებს, რომ ამ ქონებიდან ხაზინას მიეცეს 600 მილიონი ფრანკი და ამ ფულშიაც უნდა ჩაირიცხოს 14 მილიონზედ მომეტებული ფრანკი შემოსავალი, რომელიც ჯარით დაადგეს სასულიერო წოდებას. 5 მუხლი აწესებს, რომ გარდა იმ შემოსენებულის ფულისა, რომელიც უნდა მიეცეს ხაზინას, რაც დანარჩენი შემოსავალი იქნება სასულიერო

ქონებიდან, ყველა უნდა მოიხმარონ 1868 წლიდან ჯამაგირებთ. მს. ვულფენ-და დახიარჯოს წირვა-ლოცვაზე და პანსონენებზე, რადგანაც ხაზინა ამისთანა ხარჯს აღარ კისრულობს.

ოსმალეთი. ოსმალეთის საელჩომ, რომელიც იმყოფება პეტერბურგს, გაუგზავნა მოსტანტინეპოლიდამ მიღებული ტელეგრამა გაზეთს „Journal de—S. Petersburg.“ მს მოხსენებული ტელეგრამა სრულებით ეწინააღმდეგება იმ ცნობას, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ დროს პანდიში და რომელიც წინათ ოდესსიდან შევიტყეთ. როგორც ზემოხსენებული ტელეგრამა ამბობს, ომერ-ფაშას მართლაც ძალიან გაჭირებული და მაგარი ბრძოლა ჰქონია ბერძნებთან; მაგრამ ამ ბრძოლაში იმას გაუმარჯვნია. ინსურგენტები უკან მიქცეულან და დიდი ზარალიც მოსვლიათ. ომერ-ფაშას უნდოდა ამ უკანასკნელ დროში რეტიმო გაეწმინდა ინსურგენტებისგან იმ აზრით, რომ თავისი პლანი შეესრულებინა სფაკის შესახებ.

მოსტანტინეპოლიდამ მოსული ამბავი ეს არის; მაგრამ არ შეიძლება, რომ ამაზედ ეჭვი არ ავიდოთ, რადგანაც არც ერთი ამბავი, რაც კი აქამომდე მოსტანტინეპოლიდამ მიგვიღია, მართალი არ გამომდგარა. რომ მოვივინოთ ის ამბავი, რომელიც გვარწმუნებდნენ, ოსმალეთის ჯარებმა ბრწყინვალეთ გამოარჯვესო, ვითომც პანდიის ხალხი მზათ არისო, პორტას თავი დაუქრასო, ამას შემდეგ ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ განდგომილება უნდა დამშვიდებულიყო; მაგრამ რას ვხედავთ? ახლა რომ განდგომილება, ამისთანა მძლავრი ჯერ არ ყოფილა. აი ამის გამოც გონიერება მოითხოვს, რომ ერთობ არ ვერწმუნოთ იმ ამბავს, რომელიც Journal de S. Petersburg-ის რედაქციას აცნობეს.

ამერიკა. დიდი ხანია ვგონობდით, რომ დასავლეთ ინდოელებთან ომი უნდა მოგვესლოდა. მს ომი კიდევ დაიწყო. სხვა და სხვა მხრით ამბავი მოგვდის, რომ მთელს ჩვენს საზღვრებზედ ინდოელებს მტრული მოქმედება დაუწყიათ, და იმათი გროვა აწუხებს ჩვენს სოფლებს. ისინი (ინდოელები) სცარტყენ და სწვენ სოფლებს, თეთრს ცოცხალ ამერიკელებს ტყავს აძრობენ და რაც ხელში მოხვდებთ, ყოველის ფერი თან მიაქვთ. იმათ წინააღმდეგ ორი სამხედრო ლაშქარი გამოაწყვეს. მართი იმოქმედებს სპაკის მთებში, გენერალი ზანკოკის ხელ—ქვეით, მეორე კი უფრო ჩრდილოეთისაკენ წავა და ამ ლაშქარს გენერალი სულლი წინ მიუძღვის, მაგრამ ასე ცოტა ჯარი მაინც არა კმარა ძალიან მრავალ ველურ კაცებთან საბრძოლოთ.

ტ ე მ ბ რ ა მ მ ე ბ ი,
 პეტერბურგში მიღებული.

მოსტანტინეპოლი, 2 (14) მაისს. პარახოლმა „პრკალიონმა“ გადმოსვა 700 ვოლონტერი, თოფ-იარაღი და წამალი, პანდიის ქალაქთან მიგოლოკასტრისათან. პანდიდამ წაიყვანა 100 ქალი, ყმაწვილები და მშვიდობიანათ სირაში მიიყვანა.

15 ქრისტიან დებუტატებში, რომელნიც იყვნენ მოსტანტინეპოლში გაგზავნილნი, 7 ჩუმათ საბერძნეთში გავიდა. იმათ ხელ-ახლა წერილით უქმყოფილება გამოუცხადეს ყველა ელჩებს თავიანთ ამორჩევაზე.

29 აპრილს (11 მაისს), ბევრმა ელჩებმა უმთავრესის სახელმწიფოებშიამ თავიანთ მმართველობიდან მიწერილობა მიიღო, რომ ხელ—ახლა ურჩიონ პორტას პანდიის კუნძულის დათმობა საბერძნეთისთვის.

ათინა, 29 აპრილს (11 მაისს.) სირილამ გვაცნობებენ, რომ ოსმალებმა, სამის დღის ბრძოლის შემდეგ ინსურგენტებთან, 3000 კაცი დაკარგესო; ეს ბრძოლა გამართა პანდიის კუნძულზე, პოლიკრატესთან.



მესალაში ინსურგენტებმა დაიპყრეს ძალიან მაგარი ოსმალეთის საბანაკო ქატიანისთან.

ლონდონი, 4 (16) მაისს. როგორც ვაზუთი „Globe“ ამბობს, ანგლია მეგობრულათ ურჩევს კონტინენტის სამპრობელთებს, მათ შორის პრუსიას და შრანციასაც, რომ საზოგადოთ შეიარაღებას თავი დაანებონ.

ბელგრადი, 7 (19) მაისს. ჩერქეზები, რომლებსაც უნდოდათ ძალით სერბიაში გასულიყვნენ, ოსმალეთის ჯარმა შეიპყრო და შუა ოსმალეთს წაიყვანა. ამ შემთხვევაში მოხდა იმათ შორის შეტაკება, რომელშიც რამდენიმე ჩერქეზი მოკვდა და დაიჭრა, აგრეთვე რამდენიმე ოსმალების სოფლები წახდნენ.

კოსტანტინეპოლი, 9 (21) მაისს. რუსეთმა არ მისცა ნება ჩერქეზებს, რომლებიც ოსმალეთში გადასახლდნენ, რომ უკან პავკასიაში დაბრუნდნენ.

ბერლინი, 9 (21) მაისს. ღვს „ცეილერის კორრესპონდენციაში“ სწერენ, რომ ლანოვერში იპოვეს დიდი შეთქმა. ამ შეთქმის პირების განზრახვა ისა ყოფილა, რომ შრანციის და პრუსიის შორის ომიანობა რომ მომხდარიყო, საერთო ადგომილება მოეხდინათ მთელს ლანოვერში.

კოსტანტინეპოლი, 9 (21) მაისს. „ბრკალიონი“ (ცეცხლის გემი) კიდევ დაიარება ძანდას. უკანასკნელს დროს იმას გამოუდგნენ სამი სამხედრო ოსმალეთის გემები, მაგრამ ის მშვიდობით დაბრუნდა და გამოიყვანა ძანდიდან 640 ქალი და ყმაწვილი.

როგორც ოსმალები ამბობენ, ომერ—ფაშა ხელახლა დაეცა სფაიელებს. ჯერ კიდევ დაწვრილებითარ ვიცით, თუ რა შედეგი ჰქონდა ამ თავდაცვას.

ქოსტანტინეპოლში რომ დებუტატები ძანდიდან იყვნენ დარჩენილნი, ისინიც ჩუმით გაიპარნენ ამ ქალაქიდან.

ძანდიის კუნძულის მცხოვრებელნი ძალიან ითმენენ შიმშილს, აედრობას და ავათ მყოფობას.

მენა, 13 (25) მაისს. მენის საფოშტო ვაზუთში ღვს დაბეჭდილია ტელეგრაფმა მენიკილამ, 23 აპრილიდან (5 მაისიდან), რომელიც აცნობებს, რომ მენიკოს ჯარით შემორტყმა ჯერ არ გათავებულა, აგრეთვე, თუმცა ქალაქი ძვერატარე ძალიან შევიწროებულია რესპუბლიკელებისაგან, მაგრამ აქამდი ჯერ არ აულიათ იმათ.

თფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 27 მაისს. ღამნაწივს ქვიან პეტრან ბერეზოვსკი. ის არის პოლშელი, ოცის წლისა, მოლინის გუბერნიიდან. ორის წლის წინათ, ის პარიჟში გარდასახლდა უკანასკნელის არეულობისაგან. ის გამოტყდა, რომ დიდი ხანია ფიქრობდა ხელმწიფის მოკვლას.

თხილ-მოკვლევა.

შეშარიტი განათლება მდგომარეობს სრული ადამიანის ბუნების წარმატებაში და განსნაში; იმან უნდა იმოქმედოს როგორც სულზედ, ისე სხეულზედ. თუ ერთი რომელიმე მხარე დავიწყებულია, მაშინ ვერ ვიტყვი, რომ კაცი სრულიად განათლებული იყოს. განათლება უნდა შეეხოს მთელს ადამიანს, ყოველს იმის ძალას (ფიზიკურს და ზნეობითს); უნდა მისცეს იმგვარი მიმართულება, რომ კაცის ბუნებამ მიიღოს შესაფერი სისრულე ყოველის მხრით. თუ ფიზიკურს მხარეს მიაქცევთ მომეტებულს ყურადღებას, თქვენ დაჰბადებთ ან ატლეტს და ან ველურს კაცს, და თუ სულიერის მხარის განსნას ეცდებით, თქვენ აღზრდით იდეალისტს, ხოლო უკეთუ მოიწადინებთ მარტო გო-

ნების განსნას, მაშინ თქვენი მოწაფე შეიქნება ან უგუნური და ან ჭკვიდან შეშლილი.

ნამდვილათ განათლებული კაცი ის არის, რომელიშიც იმის ბუნების ყოველი მხარე განსნილია და ერთმანეთთან ისე არიან შეთანასწორებულნი, რომ არც ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს.

ძველს დროში დიდი ყურადღება იყო მიქცეული კაცის ფიზიკურს ძალზედ და ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ, რომ კაცში შეერთებინათ ძლიერი სული ძლიერს ხეულთან. ბერძნის მასწავლებლები ურჩევდნენ თავის მოწაფეებს, რომ იმათ ის საგნები ისწავლონ, რომლებს სწავლაც ფეხდგომილა შეიძლება. თითქმის ამნაირივე აზრი არის გამოთქმული ერთს ძველებურს ანგლიის ანდაზაში: „ზახულოში—მინდარი, ზამთარში—მეცნიერება.“ მილტონი თავის თხზულებაში ამტკიცებს, რომ ჰაბუქში აღიზარდოს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მხარე და მით ის იყო გამზადებული ყოველგვარი ბრძოლისთვის.

ჩვენს დროში ჰგონიათ, რომ ფიზიკური მუშაობა კაცს დაამაბლებს და იმისთვის სრული ყურადღება მიქცეული მხოლოდ გონების განსნაზედ, თუმცა ამ გვარი მოქცევა ყმაწვილის სიმართლის დამლუბველია. ამ გვართ ტენი სხვა სხეულის ნაწილებზედ მომეტებულად მუშაობს და როდესაც ყმაწვილის გონება სისრულეში შედის, მაშინ იმისი ჯერ ჩვილი სხეული სნეულდება, იმას ეკარგება სიცოცხლე და სიმკერცხლე. აი ეს არის მიზეზი, რომ ჩვენს დროს იპოვებია ბევრი სუსტის კუჭით, უღონო ხელებით და მხატვ სხეულით. მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ მარტო ფიზიკურს მხარეს ეძლეოდეს ამისაგან ენება. თით ჩვენი გონება დამახინჯდება და ზნეობითი ძალანი დაჰკარგვენ თავის სიცოცხლეს და ძლიერებას, იმათ მოვლებათ ყოველგვარი ენერგია და შეიქნებიან სუსტნი. ფიზიკური შრომის სიძუილისაგან წარმოსდგება უკმაყოფილება, უსაქმობა, რალაც უგუნური გამოშტერება, ოცნებობა ერთის სიტყვით ყველა, რასაც დაჰბადებს სიცოცხლე ერთის მხრით განსნილი. იქნება ამ ფიზიკურის უშრომელობისაგან წარმოსდგებიან ის ოცნებანი, რომლებს აულსრულეობობაც მოუკლავს ხოლმე გულს ყმაწვილ კაცს. შეტყველია, რომ ფიზიკური შრომა კაცს გამოაოცხლებს, გაამკერცხლებს და სიამოვნებით აღუესებს გულს. ეს შეუნიშნავს დოქტორს ჩანინგს ამერიკაში, რომელიც ამბობს, რომ ყმაწვილები გამოდიან რალაც ფერ-მიხდილები, ავათ-მყოფები და მეტად უფხონი. ამ ყმაწვილების სენის გასაკურნავათ საჭიროა გამოუდებული სხეულის მოქმედება და ყოველგვარი ფიზიკური ვარჯისობა. ღანიელ მალტუსი, რომელიც ფთხილად და ბევრთად ადვენება თვალ-ყურს თავის შეილის აღზრდას და განათლებას, ითხოვდა, რომ იმისმა შეილმა მიიღოს მონაწილეობა სხვა და სხვა თამაშობაში, რომელსაც შეუძლიან განსნა როგორც გონებისა, ისე სხეულისაც. ის ეუბნებოდა თავის შეილს: „ექვი არ არის, რომ მეცნიერების, ხელოვნების და ბუნების ცოდნა გაართობს და გაამახვილებს შენს გონებას, მაგრამ ამასთან შენი სხეულიც უნდა გამაგრდეს,—ამისთვის მე დიდათ მოსურნე ვარ, რომ შენ მიაქციო ყურადღება სხეულის ვარჯისობასაც. დიდათ სასიამოვნო იქნება ჩემთვის, თუ შენ განახე მარჯვეს და ღონიერს მუშაობაში. მგონებ, რომ ჩვენ ყმაყოფილებს და ბედნიერებს მაშინ გამოვცდით, როდესაც მთელი ჩვენი არსება იქნება ამაში მონაწილე.“ იერემია ტელიორი ამბობს: „ერიდეთ ცუდაობას, რადგანაც ეს არის დედა ყოველი ბოროტი საქმისა; ყოველი წამი სასარგებლოდ მოიხმართ; ზარმაცს გონებას ძალიან ადვილად მოიცვამს სხვა და სხვა

ბოროტი ენება, მაშინ როდესაც მოქმედი და გამარჯე კაცი ძალიან ცოტათ ფიქრობს ხორციელს კმაყოფილებაზედ.“

ანგლიის შკოლებში და უნივერსიტეტებში მიღებულია იმ გვარი სათამაშონი, რომლებიც ითხოვენ ძლიერსხეულის მოძრაობას. ამ გვარი ღონისძიება მეტად ვანერია და ამის მაღლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ანგლიაში ხშირად იპოვებია ჯან-მრთელნი, მამაცინი და ძლიერნი ვაჟკაცი. ღერცოგმა მელლინ-გტონმა შენიშნა, როდესაც ის უყურებდა იტონის შკოლაში მოთამაშე ყმაწვილებს, რომ „მატერლოას ბრძოლა აქ იყო წინათვე მოგებულიო.“

ახლანდელს ყმაწვილების აღზრდაში არ უნდა დავიწყოთ ძარღვების გამაგრება და გაღონიერება. აქამომდე ვხედავთ, რომ ჩვენი ახალ-გაზღობა ასრულებს კურსს და ღათი-ნურით გამოტენილი თავი გააქვს და სხვა და სხვა უფარგის ცნობებით, და ამასთან სხეული დამაჩტებული, დაუძღურებული და სიცოცხლე-მოკლებულია. იქნება ჩვენ ახალ-გაზღობას კარგათ ვყურებოდეს გრამმატიკული კანონები, მაგრამ შენიშნის და დაკვირვების ნიჭი კი უფრო უბრალო მჭედლებს და ღურგლებსა აქვსთ, მინამ ჩვენს ახალგაზღობას.

არ არის ეჭვი, რომ ჰედაგოგია როდესაც წარმატებაში, შევა მასწავლებლები მტკიცეთ დარწმუნდებიან, რომ კაცისთვის როგორათაც საჭიროა გონების განსნა, აგრეთვე სხეულის სიმრთელე, ფიზიკური შრომა და ჩვეულებრივი საქმის წამართვა. ჩვენ ხშირად შევხვდებით იმასთან მსწავლელებს, რომლებმაც თავისი მეცნიერების მეტი არა იციანარა და თავის წრეს გარეთ სრულებით უფარგისნი არიან. საჭიროა, რომ სასწავლებლებში გაიზართოს საშუაეობი და როდესაც მოწაფეს მოკლა ჰქონდეს, იმან აქ იმუშაოს. მჭვი არ არის, რომ ამ გვარი საშუაეობი დიდს სარგებლობას მოუტანდნენ ყმაწვილს მოსწავლეს, რადგანაც ის მოიპოვებს სიმკერცხლეს და გაღონიერდება კიდევ. მაგრამ ამასთან ესეც უნდა ესთქვათ, რომ ახალგაზღობისთვის მხოლოდ ერთი ხელოვნების სწავლა არა კმარა, რადგანაც გონებითი და ზნეობითი განათლება უფრო საჭიროა კაცისთვის. ფიზიკური ვარჯისობა დაეხმარება იმას და ამ სახით ყმაწვილს მიეცემა სრული ჯანმრთელი აღზრდა. ისაქ ნიუტონმა ყმაწვილობაშივე შეიყვარა სხვა და სხვა მეხანიკური მუშაობა. მთელი ღღე იმის სახლში არ შესწყდებოდა ჩაქუჩის რახარუბი და ხერხვა. ის დიდი კმაყოფილებით აკეთებდა ბაწაწა წისკილებს, ურუმებს და სხვა და სხვა მაშინებს, და როდესაც მოიზარდა, ის აჩუქებდა ხოლმე თავის მეგობრებს პატარა სტოლებს და შკაფებს. შატრი და სტეფენსონი ყმაწვილობაშივე სწავლობდნენ, როგორ იხმარებიათ სხვა და სხვა იარაღები; აი ეს ცნობის მოყვარეობა იყო მიზეზი იმათი უდიდესი გამოგონებებისა. მონება და პრაკტიკული ნიჭი შეიძინეს იმათ სიყმაწვილ ში მუშაობით. აგრეთვე ხელოსან კაცებსაც მოუტანა სარგებლობა თავისმა ხელობამ, როდესაც ისინი სწავლას შეუდგნენ.

ბოროტი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ ვისაც კარგათ უნდა სწავლაო, იმან კიდევ უნდა იმუშაოსო. სხეულის გასამაგრებლად და თავისი გონების გასაღვიძებლად ის ანებებდა თავს სწავლასა და მოდიოდა სამჭედლოში საშუაოთ. ამნაირივე აზრი გამოთქვა მილენსმა თავის სიტყვაში, რომელიც იმან წარმოსთქვა მიტინგზედ მეხანიკოსების ინსტიტუტში. იმანა სთქვა, რომ ბევრითი და კარგი მეხანიკური მუშაობა ყველაზედ უკეთესად მოამზადებს კაცს სწავლისთვის. ძარგს მუშას შეუძლიან კარგი მსწავლეულიც გახდეს. ბარდა ამისა ის ამბობს, რომ ყველა შესანიშნავი პირნი იმათ კი არ ვკუთვნებიან, რომელთაც

ცოტა უმუშაენით, არა ისინი ყოფილენ მწიქნი მშრომელი და ნიჭიერი თავისი სწავლისაში. პრის ორი მიზეზი, რომლებიც კაცის გონების განსნას უშლის; ერთის მხრით კაცის ღონეზედ გადამეტებული შრომა და მეორეს მხრით სიზარმაცე და უშრომელობა. თუ კაცს დიდი ჯაფა აქვს ზურგზედ დაწოლილი, მაშინ ის სწავლისთვის ვერ მოიცილის, და თუ კაცი ზარმაცია, ცხადია, ის ვერას ისწავლის.

მჭვი არ არის, რომ საციალისტი-სწავლულის შრომის ნაყოფი დამოკიდებულია იმის სხეულზედ და სიმრთელეზედ. მრთელი და მაგარი გული ისე რიგათ არის საჭირო ადვოკატისთვის და სახელმწიფო კაცისთვის, როგორათაც განათლებული გონება. როდესაც ჰავრი თავისუფლად ჩადის ფილტვებში, სისხლი კარგათ იწმინდება და ტენიც, ამ დაწმენდილი სისხლის შემწეობით, კარგათ მუშაობს.

მალტერ სკოტს, სტუდენტობის დროს მდინბურგის უნივერსიტეტში, სახელი ჰქონდა გავარდნილი ღონიერობაში და სხეულის მაგარს აგებულებაში. იმას შეეძლო შეჯდომა გაუხედარს ცხენზედ; როდესაც იმან ღიტერატურას მიჰყო ხელი, ის ნადირობას მაინც თავს არ ანებებდა. დლით ის სწერდა „მევერლის“ და სალამოზედ საკურდლოად წავიღოდა ხოლმე.

პროფესორს შილსონს ატლეტის აგებულება ჰქონდა. ის იმ გვართვე მარჯვეთ ხმარობდა წერაქვს, როგორათაც მარჯვეთ სწერდა პოეტურს და ორატორულს თხზულებაებს.

მჭვი არ არის, რომ კაცისთვის სხეულის სიმრთელე საჭიროა, მაგრამ უმეტესად საჭიროა სწავლაში ბეჯითობა და გულის დადება. ძაცმა ყოველი დაბრკოლება უნდა შრომით დასთრგუნოს, განსაკუთრებით ეს შრომა ჰმართებს კაცს თავის გონების განსნისათვის. მისაც შრომა უყვარს, იმას თავის თავის განათლება შეუძლიან და არ არის იმისთანა დაბრკოლება, რომლის მოშორება და დაძლევა ვერ შეიძლოს კაცმა, თუ ის იშრომებს. მართის სიტყვით როგორც მეცნიერებაში, ისე ყოველს საქმეში ენერგია (მხნეობა) დიდათ საჭიროა. მართლაც ვასაკვირველია, რამდენი შეუძლიან გააკეთოს თავის გონების განსნისთვის ბეჯითს და მშრომელს კაცს, რომელიც ყოველს ვარემობას გამოიყენებს თავის სასარგებლოდ და არა ჰკარავს ტყუილად არც ერთს თავისუფალს წამს, რომელზედაც ასე დაუდევნელია ზარმაცი. აი მაგალითებიც: შერგიუსონი სწავლობდა ვარსკვლავთ-მრიცხველობას მინდორში ცხერის ტყავების დაკეცის დროს. სტონი ყოველ ღღე მუშაობდა ერთს ბაღში და ამასთან მათემატიკას სწავლობდა. ღრიუ იყო წაღების მეჯღანეთ, მაგრამ როდესაც კი იმას თავისუფალი დრო ექნებოდა, დიდი ხალისით სწავლობდა ფილოსოფიას. ამ გვართ ეს პირები არ შეუშინდნენ დამაბრკოლებელს მიზეზებს და თავის საკუთარის მეცადინეობით და ბეჯითობით შეიქმნენ განათლებულები და მოიპოვეს სახელი. ჯოშუა რენოლდსი ისე რიგათ იყო დაჯერებული შრომის ყოველად-შემძლებელობაში, რომ ყოველს კაცს შეუძლიანო თავისი შრომით იმ გვარსისრულემდის მიახწიოს, როგორიც კი შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. ის ამტკიცებდა, რომ დაუღალავი მუშაობა გენიოსად გაჰხდის კაცს და არტისტიისთვის საზღვარი არავის დაუღვია: იმისი წარმატება განიზომება თავისი შრომით. რენოლდს არა სწამდა ზეგარდამო შთაგონება ისამობდა: „სისრულე და უპირატესობა კაცს შეუძლიან მოიპოვოს შრომით.“ თუ თქვენა ექვეთ დიდი ნიჭი, შრომა გააუმჯობესებს თქვენს ნიჭს და თუ თქვენი ნიჭი არ არის ისე ბრწყინვალე, შრომა გამოაღვიძებს და სრულ-ჰყოფს თქვენ ნაკლულევენებას. ძარგათ წარმართული შრომისთვის არა არის რა

შეუძლებელი, და უამისოთ კი კაცი ვერაფერს გააკეთებს. აგრეთვე ფიქრობდა ბექსტონი. იმის აზრითაც შრომა ყოველად-შემძლებელია და ვისაც უნდა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ცხოვრებაში, ის უნდა მიეცეს შრომას. იმას დიდი რწმუნება ჰქონდა ჩვეულებრივ კაცის ნიჭზედ, თუ ამას დაემატა დაუდგრომელი ბევრობა. მართლაც და გენიოსობა უშრომობა უფრო ორაკულია. შექველია, რომ გენიოსები იყენენ ყოველთვის გულდადებული და დაუღალავი მშრომელნი.

მისაც უნდა ისწავლოს რომელიმე საგანი, ის უნდა სრულიად მიეცეს ამ საგანს და იმას არა დროს არ ღალატობდეს. შრომის ბოროტები დიდად საჭიროდ რაცხდა, რომ კაცი ერთს საგანს დაადგეს, რომ ის სრულებით შეითვისოს და განისწავლოს. ის კითხულობდა წიგნებს დიდის სიფთხილით და ერიდებოდა წარა მარა კითხვას. ძაცის ცნობების ღირსება ვითარებაში მდგომარეობს და არა უმრავლესობაში და იმათ გამოყენებაში. ამის გამო უფრო სასარგებლოა, რომ კაცმა იცოდეს ცოტა და მტკიცეთ, მინამ ბევრი, რომელსაც ის მოიპოვებს მსუბუქის კითხვით. ამ გვარის კითხვით კაცი ვერ მიიღებს საფუძვლიან განათლებას და მაინც უმეცარი დარჩება. ხშირად შეგნებდებით იმისთანა კაცებს, რომლებსაც ბევრი წიგნები წაუკითხავთ, მაგრამ საფუძვლიანათ კი არა ფერი იციან რა; ამ გვარი უგუნური მკითხველები მოგვგონებენ ერთ გვარს ჯიბის დანას, რომელსაც აქვს მაკრატელი, ხერხი, საჭერტელი, მაგრამ ესენი ისე პატარები არიან, რომ იმათ კაცი ვერას გზით ვერ მოიხმარებს: „უკეთესია, რომ კაცმა ცოტა გააკეთოს და კარგათ, მინამ ბევრი და ცუდათ.“ როდესაც ახალგაზდა კაცი რომლისმე საგნის სწავლას შეუდგება, იმან არას დროს არ უნდა დაანებოს თავი ამ საგანს, მინამ არ განისწავლოს ყოველის მხრით, თუ არა და იმის შრომა ცუდუბრალოთ ჩაივლის. ლარდი სენტ-ლენარდის ამბობს, რომ ის თავის დღეში ახალსაქმეს არ მიპყრდნობდა, თუ ჯერ ძველი არ გაეკეთებინა. ზოგიერთი იმისი ამხანაგი წაიკითხავდა ერთს დღეში იმას, რასაც ის მთელს კვირას კითხულობდა და წლის ბოლოს გამოჩნდებოდა ხოლმე, რომ ლენარდს უფრო ცნობა წიგნებიდამ ამოკითხული ცხოველად და ღრმად ჰქონდა ჩარჩენილი გონებაში და იმის ამხანაგებს არც კი ახსოვდათ წაეკითხათ სადმე თუ არა.

შემშარტი და სასარგებლო ცნობა ის არის, რომელიც მოპოვებულია წინათვე მოფიქრებულის განზრახვით. როდესაც რომელიმე მეცნიერების ნაწილს კარგათ ვისწავლით, მაშინ ამ გვართ მოპოვებულს ცნობას კიდევ გამოვიყენებთ. პრაქტიკული ცნობა ჩვენ უნდა შევიძინოთ, წიგნდამ ამოკითხვა იმისი არ შეიძლება. როგორც ყველა საქმეში საჭიროა გამბედაობა და სიმკვირცხლე, ისე უმეტესად საჭიროა ეს სწავლაში. მისაც თავის თავზედ იმედი აქვს და ვინც მიეჩვენა სიყმაწვილიდგანვე ყოველს საქმეში თავის გატანას, ის ადვილად მოიპოვებს ერთსაცა და მეორესაც. სიყმაწვილში კაცი უნდა თავისუფლად მოქმედებდეს. მინც შეავიწროებს ყმაწვილს და თავის ხელმძღვანელობის ქვეშ ეყოლება, ის ეწინააღმდეგება იმას, რომ ყმაწვილებში აღნთოს სული თვით-მოქმედებისა. გამბედაობის უქონელობა არის დამაბრკოლებელი მიზეზი წარმატებისა. ძაცი ყოველთვის უნდა სცნობდეს თავის საკუთარს ღირსებას და არ ავიწყდებოდეს თავისი კეთილი ღვაწლი.

ხშირად მოხდება, რომ კაცის საქმეს მცირედი წარმატება ექნება. რათა? იმიტომ რომ თითონ საქმის მიყოლა იყო სუსტი. ზოგი ერთხელ კაცს არ აუხრულებდა თავისი გან-

ზრახვა, რადგანაც თითონვე ეფარება იმ ნათელს, რომელიც საქმისათვის საჭიროა. იმეთით არ არის იმისთანა კაცი, რომელიც ელტვის თავის განათლებას, მაგრამ ეს წადილი ვერ აუხრულებია, რადგანაც დადგრომილი და მუყაითი შრომა არ შეუძლიან. „მოუთმენლობა საქმეში შეადგენს ჩვენის შთამომავლობის უდიდეს სენს“ ამბობს დოქტორი ჰონსონი. ამ სიტყვებს აქამდისაც არ დაუკარგავთ თავისი სინამდვილე. აღზდაში ჩვენ ვეძებთ სხვა და სხვა ღონისძიებას, რომ ნაკლებათ ვიშრომობთ. ჩვენ ვცდილობთ, რომ სწრაფად ვისწავლოთ საგნები და თორმეტი გაკვეთილს მერე დაიწყეთ ლაპარაკი უცხო ენაზედ. ამ მხრით ჩვენ მივემგზავსებით იმ მორთულ-მოპრანჭულ კვლავს ქალს, რომელმაც დაიჭირა მასწავლებელი, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იმან თავი არ მოაწყინოს რაღაცა ზმნებით და მიმღებობით.

სხვა საგნების სწავლაშიაც ჩვენ სწორეთ აგრეთვე ვიქცევით: ვსწავლობთ ხიმის მოკლე სახელმძღვანელოში. ამის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ თუ ამ გვარი სწავლა სჯობია სრულს უსწავლელობას, ის მაინც გამოუყენებელია ცხოვრებაში. საქმიდამ გამოდის, რომ ჩვენ მართლა კი არა ვსწავლობთ, ისე შევაქცევთ ჩვენს თავს და ამასთან დაჯერებული ვართ ჩვენს სიბრძნეში და სოკრატობაში. მს სენი თან-და-თან უფრო ვრცელდება; ამ გვარის სწავლისაგან წარმოსდგება ორი უბედურება, — ერთი, რომ ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა არ ექნება, მეორე შრომის სიძულილი და სიზარმაცე. თუ ჩვენ მართლა გვინდა გონებას გახსნა, დაუღალავათ უნდა ვიშრომობთ. შოველი ძვირფასი ცნობა მოიპოვება შრომით. მუშაობაში ჩვენ უნდა გვექნდეს არჩეული ერთი მიზანი და მოთმინებით უნდა უცადოთ იმ სანატრელს დროს, როდესაც ჩვენი შრომა დაგვირგვინდება. ბიუფონი ყოველთვის ამბობდა, რომ გენიოსობა მოთმინებაში მდგომარეობს; იმისი აზრით გენიოსების უკეთესი ნიჭი იმაში მდგომარეობს, რომ დიდის მოთმინებით და თავის-დადებით შრომობენ. შემშარტი წარმატება მიემართება წყნარად და ის კაცი, რომელიც სინიდიოსიანად და პატიოსნად შრომობს, ყოველთვის მიიღებს ჯილდოს თავისი შრომისთვის. ლაქინებულის შრომით ჩვენი საქმე ნელ-ნელა წინმართება. სული მშრომელობისა იპოვის თავისთვის ფართო ასარგებს, სადაც ის გამოიღებს თავის კეთილ ნაყოფს; მაგრამ ამასთან ჩვენ უნდა ვიშრომობთ ჩვენის განათლებისთვის, რადგანაც კაცმა სიკვდილამდის სულ უნდა ისწავლოს. პოეტი ბრეი ამბობს, რომ მუშაობა ბედნიერებაა. კუმბერლანდის ეპისკოპოსმა სთქვა: „უმჯობესია, რომ კაცი შრომაში დაიღალოს და ღონე-მოელოს, მინამ სიზარმაცისაგან გაუფრუდდეს.“

მისაც მოუთმენლად ჰსურს, რომ ჩქარა იხილოს თავისი შრომის ნაყოფი, ის მეტად მოკლე ჰქვია. ამ გვარი კაცები ჰგანან პატარა ყმაწვილებს, რომლებსაც ძალიან ჰსურთ, რომ დათესილი თესლი ჩქარა ამოვიდეს. მაგრამ გონიერი კაცი კი მოთმინებით უცდის გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის მოსვლას, ის ბევრჯელ იმითიც საქმაო, რომ იმისმა შევიღმა მაინც ისარგებლოს იმისი შრომის ნაყოფით.

თვით განათლება არის კაცის გონების გახსნის უკეთესი და უმაღლესი წესი. ის სწავლა, რომელიც გვეძლევა შკოლებში და სხვა სასწავლებლებში, არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენი თვით-განათლებისა; ის უნდა მხოლოდ დაგვეხმაროს ჩვენს საკუთარს განათლებაში. საჭიროა, რომ ყმაწვილის გონება ყოველთვის ფიქრობდეს და სჯიდეს; გაჩერებული ის არაოდეს არ უნდა იყოს; ამისთვის უნდა დარჩეს ზოგიერთი გაუჩხრეკელი საგანი, რომ-

ლის განჯასაც ახალგაზდა გონება დამოუკიდებლად, თავის თავად უნდა მიეცეს. მაშინ ახალგაზდა გონება განსჯის, რა უნდა გააკეთოს და რა—არა. იმისი მოქმედება იქნება უფრო მხნე და ჯანიანი, რადგანაც ყმაწვილის თავისუფალის არჩევით და წადილით მოხდა, და ამასთან მოისპობა ეს ბოროტება, ყმაწვილი სხვის რჩევასა და აზრს არ დაენდობა. უკეთესი აზრდა ის არის, რომელსაც კაცი თავის თავად მოიპოვებს. სხვის აზრები კაცს არა ვითარს სარგებლობას არ მისცემენ, თუ ის კარგათ არ განსჯის იმათზედ და გარკვეულს ანგარიშს არ მისცემს თავის თავს. ჰონი ლოკი ამბობდა: „სხვა და სხვა ცნობების მოპოვება საქმაო არ არის. თუ კაცმა კარგათ არ შეითვისა სწავლა, ის ვერც ძალას მისცემს იმას და ვერც საზრდოს“. სხვისაგან შეთვისებული აზრს ჩვენ ვერ დაუძახებთ საკუთარს. მაშინ როდესაც ჩვენგან შეძინებული აზრი ჩვენს საკუთარებს შეადგენს. ჩვენის საკუთარის შრომით შეძინებული ცნობა შთაბეჭდება ჩვენს გონებაში ღრმად, მაშინ როდესაც სხვისაგან მიღებული ვერ გაიდგამს ჩვენს გონებაში მკიდრს ფესვებს. ამ გვართ მოპოვებული სწავლა აღმოაშობს ჩვენს გონებაში ბევრს იმისთანა აზრს, რომელიც უამისოთ ვერას გზით ვერ დაიბადებოდა, გააღვიძებს იმ ძალას, რომელიც უამისოთ ჩაპკრებოდა ჩვენს სულში. მინც თავის თავად განსჯის ერთს კითხვას, ის მეორე დაბრკოლებასაც არ შეუშინდება — და ამ სახით იმაში აღნთება ის დაუძინარი მსჯელობა, რომელიც ჩაუკვირდება ყოველს საგანს და ჰპოვებს მასში დედა-მიზეზებს. აქედამ სჩანს, რომ წარმატების თავი მიზეზი არის საკუთარი შრომა; უამისოთ ჩვენ ვერ გვიშველიან ვერც წიგნები, ვერც სწავლა სხვისაგან და ვერც შეპირობა გაკვეთილებისა. მს შრომა დააჩნევს თავის ბეჭედს მშრომელს გონებაზედ და დაპბადებს კაცში მტკიცე პრინციპებს და დაფუძნებს იმაში სამუდამოთ შრომის-მოყვარეობას.

უკეთესმა მასწავლებლებმა დიდი ხანია საჭიროდ დაინახეს, რომ ყმაწვილი შრომას მიანიჭონ და თავისი საკუთარი მსჯელობა აღუძრან. ისინი ცდილობდნენ, რომ ყმაწვილებს მიეღოთ ცხოველი მონაწილეობა იმათ მოქმედებაში. ამათში ირაცხება დოქტორი არნოლდი. ისა ცდილობდა, რომ ყმაწვილი მარტო თავის თავზედ ყოფილიყო დანდობილი, ის მხოლოდ ამხნეებდა იმათ მუშაობაში და მიმართულებას აძლევდა.

ძაცისთვის საქმაო არ არის მხოლოდ ერთი ლიტერატურული განათლება, შეიძლება ბევრი წიგნი წაიკითხოს კაცმა, სხვა და სხვა საგნებიც ისწავლოს და ამასთან სრულიად გაუხსნელი იყოს იმისი გონება, მაშინ როდესაც იპოვებან კაცები, რომელთაც არ მიუღიათ შკოლაში განათლება, მაგრამ შრომით და თავისი გონების ვარჯიშობით მიახწიეს მაღალს გონიერობამდის.

სწავლა უნდა იყოს შეერთებული კეთილობასთან და გონიერებასთან და უნდა გამოიხატებოდეს პატიოსანს ხასიათში, წინააღმდეგს შემთხვევაში ის უღრის ნოლს, ე. ი. არავითარი მნიშვნელობა არა აქვსრა. მკვი არ არის, რომ სწავლა დაიცავს კაცს სხვა და სხვა ბოროტი საქმისაგან, მაგრამ ის ვერ აღუდგება წინ თავის-მოყვარეობითს მიდრეკილებას, თუ იმაში არ დაემყიდრებინა გონიერი პრინციპები და კარგი ჩვეულებანი. ამისგამო ჩვენ ხშირად შევხვდებით ხოლმე მცოდნე კაცებს, მაგრამ ცუდის ხასიათით.

სხვა და სხვა ამბავი.

— ლუელი. — „პარლსრუეს“ გაზეთში სწერენ, 5(17) მაისიდგან: ბუშინ დილით ჩვენი ქლაქის ახლოს დუელი მოხდა ორი ლო-

დენდემის აკადემიის მოსწავლეთა შორის. მართი იმათგანი იყო პოლ შელი და მეორე რუსი. ლუელის მიზეზი იყო ამ ყმაწვილი კაცების ჩხუბი პოლშის სევედ. რუსი მძიმეთ დაიჭრა, რისგამო შემდეგ მოკვდა. პოლშელი გაიქცა, მაგრამ ტყვეგრაფით აცნობეს, რომ ის დაიჭირონ. ის შტუტგარტში შეიპყრეს და აქეთ გამოგზავნეს. ზამოძიებამ ამოაჩინა დაწერილებითი ცნობები ამ შემთხვევაზედ. რუსის გვარია ზალბრეიტერი (მდე-სილგან), ხოლო პოლშელის — ქლავე (მარ-შაველგან).

— შესანიშნავი მოგზაური. — მარტში ბატაიაში მოვიდა ლესენ — ძასელიდგან ერთი შესანიშნავი მოგზაური, რომლის გვარი შეტერი არის. ამ მოგზაურმა შემოიარა ქვეითათ მთელი მერაბა და ამერიკა და ენოა ფიქრობს იავეში და ანესტრალიაში წასვლას. იმას ფეხით გაუფლია სულ ორმოც და ათი ათასი მილი!

ს ა ხ ა ზ ი ნ მ . გ ა ნ ც ხ ა დ ე მ ა .

(Закавказский Вѣстникъ № 40).

1) ძავესისის სამხედრო ოკრუგის არტილერიის სამმართველოში 1867 წლ. 6 ივლისს მოხდება ტორაგი გვარჯილას გასასყიდა, რომელიც არის შენახული არტილერიის პარკებში ძავესისის სხვა და სხვა ადგილებში.

2) ტფილისის ბუბერნის მმართველობაში 4 სექტემბრის 1867 წლ. მოხდება ტორაგი გასასყიდათ უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნის ტიტულიარნი სოვეტისს თ. იოსებ ივანეს ძეს სტიციშვილს და მღვდარებს ბორის უფლებში ს. მემო-ნიჩისის. მს მამული ერთის ზერის მესამედის ნაწილისაგან შესდგება და დაფასებულია 1400 მან. ის იყიდება ვალში.

(Закавказский Вѣстникъ № 41)

1) ძავესიაში სატრანზიტო გზების გასაკეთებლათ დანიშნული კომიტეტი მოუწოდებს პირთ, რომელნიც ისურვებენ იჯარით აღებას მიღების და ხილების გაკეთებას და კლდის დახეთქას 17 ვერსის და 123 საფენის სიგრძეზედ, ლეიონიდან დაწყებული შოქის გადასაღვამდის, სადაც მოსეს გაკეთებას აპირებენ. ამასთანვე იჯარით გაიცემა ქვით მოკირწყველა იმ გზისა, რომელიც ჯარმა შეაშუავე.

მინც ამ იჯარის აღებას ისურვებს, იმან უნდა გამოგზავნოს 1867 წლ. 24 ივნისამდის დაბეჭდილი პაკეტი, რომელზედც უნდა ეწეროს: Въ Главное Управление Намѣстника Кавказскаго по комитету для устройства транзитныхъ дорогъ, объявление на принятие по устройству дороги отъ сел. Делижана до гокчинскаго перевала. ამასთანვე სარწმუნო გირავე უნდა წარიდგინოს.

17) თელავის უფლის სამსჯავროში ამ წლის 8 ივნისს მოხდება ტორაგი გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის თ. ალექსანდრე შაშიძეს და იმყოფება თელავის უფლებში, ს. შინკრანს. მს მამული შედგება ენახისა, სახანე მიწისა და ტყისაგან და დაფასებულია 400 მანეთათ. ის იყიდება ვალში. 18) თელავის უფლის სამსჯავროში 1867 წლ. 20 ივნისს მოხდება ტორაგი გასასყიდათ უძრავის მამული-სა, რომელიც ეკუთვნის თელავის მცხოვრებლებს არუთინა და პარაპეტ ბრიჭურის ძეთა არუთინოვებს და იმყოფება თელავს. მს მამული შესდგება ერთი სახლისა, დუქნისა და ეზოსაგან და დაფასებულია 120 მან. ის იყიდება ვალში.

კ ა რ მ ო ბ ი თ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე მ ა .

მ. ბიორგი მრისთვის თხზულებების გამოცემელს თ. ალექსანდრე მრისთვის ჰსურს დაბეჭდოს, რაც კი ამ მწერალს დაუწერია, მაგრამ ჯერ ყველა იმის თხზულება ვერ შეუგროვებია. ამისთვის ის ითხოვს საზოგადოების შემწეობას ამ თხზულებების ხელნაწერების შეგროვებაში. ზამოძიკემელს ჯერ კიდევ ვერ უშროვნია მ. მრისთვის კომპილაცია „ღამა“ და ძალიან საჭირო კი არის, რომ ეს კომპილია დაიბეჭდოს. მინც „ღაგას“ მოუტანს გამოცემელს, ის ჯილდოთ მიიღებს ერთს თუმან ფულს და ათს ეკვემლიარს მრისთვის თხზულებისა. ამასთანვე, თუ პატრონი ისურვებს, დედანს (აროგინაღს) უკანვე დაუბრუნებენ, როცა კომპილია დაიბეჭდება.

მისაც მრისთვის თხზულება აქვს და იმის თხოვებას იწებებს, იმას ესთხოვოთ ის გამოგზავნოს ტფილისს, თ. ალექსანდრე მრისთვის სახელობაზედ, „ღროების“ რედაქციაში, ზალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

სოფელს მქროყანაში ქირით მისაცემია საზაფხულო სახლი, რომელიც ეკუთვნის ტატო ზამაშვილს. მისაც სურს ამ სახლის ქირა შეიტყოს, იმან უნდა იკითხოს მერაზედ, მისკოვის ზასტავასთან, თვით ზამაშვილის სახლში.